საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/11/2025

MES 7 25 0001623193

გადაწყვეტილება

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 02 ივლისის №799238 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის შესაბაისად, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა გარკვეული ცვლილებები კერძოდ:

ა) საბჭომ 1.2 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან რელევანტური შესაბამისობა", რის შედეგადაც აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან.

ბ) რეკომენდაციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, საბჭომ 1.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან.

გ) საბჭომ 1.5 კომპონენტის რჩევების ნაწილი განსაზღვრა რეკომენდაციებად:

"რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსში უზრუნველყოფილი იყოს თანხვედრა თემების დაკავშირებით შესაბამის უნარებთან და სწავლის შედეგებთან."

"რეკომენდებულია, განხორციელდეს ყველა სილაბუსის სისტემური შეფასება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების თანმიმდევრული და გაზომვადი ფორმულირება; საკონტაქტო საათების დასაბუთება სასწავლო მიზნების და შინაარსის საფუძველზე; მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთრებით კლინიკურ საგნებში."

"რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს ვერტიკალური შესაბამისობა ყველა სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები, განსაკუთრებით "პროფესიული ასპექტების" მოდულში იმისათვის, რომ გაძლიერდეს შესაბამისობა მიზნებს, კომპეტენციებსა და კურსების შინაარსს შორის."

აღნიშნული ცვლილების შედეგად აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“ მოთხოვნებთან.

მოცემული ცვლილებების შედეგად, 1 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“ მოთხოვნებთან.

დ) საბჭომ 2.4 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, პროგრამაში, სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (მინისტრის მე-3 ბრძანებასთან)", რის შედეგადაც

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია“ მოთხოვნებთან. აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ე) საბჭომ 4.1 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, ოსკის ოთახები მოეწყოს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად“, რის შედეგადაც აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „არ არის შესაბამისობაში“ მოთხოვნებთან.
ვ) საბჭომ 4.4 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

"რეკომენდებულია, საავადმყოფოში სტუდენტთა განთავსების რეალისტურად დაგეგმვა და მათი განაწილება რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა."

"რეკომენდებულია, გამოიყოს უსდ-ის წარმომადგენელი, რომლიც საავადმყოფოში სტუდენტთა განთავსების საკითხებზე იზრუნებს."

"„ავერსის“ კლინიკა, რომელიც უსდ-ის კლინიკურ ბაზას წარმოადგენს, სტუდენტთა მიღების შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა ჩანაცვლდეს, სხვა კლინიკური ბაზით რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა."
მოცემული ცვლილებების შედეგად, მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“ მოთხოვნებთან.

ზ) საბჭომ 5.3 კომპონენტის რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

″რეკომენდებულია, პროგრამის ამოქმედებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ განხორციელდეს პროგრამის შეფასება, იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად პროგრამა ახალია და ჯერ არ დაწყებულა მისი განხორციელება.″

გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით:
"სასურველია, პროგრამის ამოქმედებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ განხორციელდეს პროგრამის შეფასება, იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად პროგრამა ახალია და ჯერ არ დაწყებულა მისი განხორციელება", რის შედეგადაც აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია“ განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.
2. ცნობილ იქნას "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 04 ნოემბრის სხდომის №1448860 ოქმის 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან რელევანტური შესაბამისობა;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, შეიქმნას ოფიციალური, ცენტრალიზებული მონიტორინგის სისტემა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს თითოეული სწავლის შედეგისთვის მკაფიო და გაზომვად შესრულების ინდიკატორებს, სამიზნე ნიშნულებს მოსალოდნელი მიღწევის დონის განსასაზღვრად, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის პერიოდულობას, აკადემიურ და ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულებს შორის პასუხისმგებლობების განაწილებას.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მატრიცა, რომელიც აკავშირებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტებს, გაზომვის სიხშირეს, პასუხისმგებელ პერსონალს ან ორგანოებს, ასოცირებულ სასწავლო გეგმის კომპონენტებს და სწავლების სტრატეგიებს.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი და მუდმივი მხარდაჭერა შემდეგ თემებზე: შედეგებზე დაფუძნებული განათლების პრინციპები, სწავლის შედეგების გაზომვა, მონაცემთა ანალიზი და განმარტება.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს მონიტორინგის მექანიზმები პირველი მიღების სტუდენტებში სწავლის შედეგების მიღწევის უარყოფითი მაჩვენებლების გამოსავლენად და სასწავლო გეგმის ან რესურსების განაწილების დროული მაკორექტირებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება წლიური შემაჯამებელი ანგარიშების გამოქვეყნებით შეფასების მიგნებების და შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.
- რეკომენდებულია, შეიქმნას კურიკულუმის და ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტები, მკაფიოდ განისაზღვროს მათი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობები. აღნიშნული კომიტეტები არის მუდმივმოქმედი და უნდა აისახოს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სქემაში. კომიტეტების ძირითად პასუხისმგებლობას წარმოადგენს სასწავლო გეგმის წარმატებული განხორციელება და მონიტორინგი.
- რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

შეფასების და ტესტების შემუშავების პრინციპები;
სტანდარტების დადგენა (მაგალითად, ანგოფის, ებელის ან ბუქმარქის მეთოდები);

მრავალარჩევანიანი კითხვების და შესრულებაზე დაფუძნებული გამოცდების საკითხების ანალიზი და ვალიდაცია (მაგალითად, OSCE/OSPE).

- რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსში უზრუნველყოფილი იყოს თანხვედრა თემების დაკავშირებით შესაბამის უნარებთან და სწავლის შედეგებთან.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს ყველა სილაბუსის სისტემური შეფასება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების თანმიმდევრული და გაზომვადი ფორმულირება; საკონტაქტო საათების დასაბუთება სასწავლო მიზნების და შინაარსის საფუძველზე; მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთრებით კლინიკურ საგნებში.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს ვერტიკალური შესაბამისობა ყველა სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები, განსაკუთრებით "პროფესიული ასპექტების" მოდულში იმისათვის, რომ გაძლიერდეს შესაბამისობა მიზნებს, კომპეტენციებსა და კურსების შინაარსს შორის.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განაახლოს ოფიციალური ვებ - გვერდი და გამოქვეყნოს ყოვლისმომცველი და საჯარო ინფორმაცია მედიცინის პროგრამის დაშვების პროცედურების შესახებ, დეტალურად აღწეროს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები და მკაფიოდ მიუთითოს მოთხოვნილი ინგლისური ენის ცოდნის დონე. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია პროგრამის მოკლე ანოტაცია, პროგრამაზე დაშვების დეტალები წარმოდგენილია მხოლოდ ქართულად. აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქართულ და ინგლისურ ენებზე აუცილებელია პოტენციური სტუდენტებისთვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია, ავერსის კლინიკასთან შეთანხმდეს პრაქტიკის თითოეულ ეტაპზე მისაღების სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, შემუშავდეს განაწილების გეგმა და განრიგი იმისათვის, რომ არ მოხდეს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან დამთხვევა, ასევე ხელმძღვანელობის შესაძლებლობის და ხარისხის შენარჩუნების მიზნით კლინიკური ბაზების გამრავალფეროვნება.
- რეკომენდებულია კურსების სილაბუსებში, განსაკუთრებით საბაზისო მეცნიერებების საგნებში, PBL სესიების აღწერის დაზუსტება და სტრუქტურირება, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება განხილული კლინიკური და პათოლოგიური შემთხვევები, ახსნილი იქნება მათი კავშირი კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, იდენტიფიცირდება განვითარებული უნარები (როგორიცაა კლინიკური მსჯელობა, ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობა და ეთიკური აზროვნება) და სადაც ეს შესაძლებელია, ხაზგასმული იქნება შემთხვევების ინტერდისციპლინური ხასიათი.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ძირითადი და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრაცია გრძელვადიანი ინტერდისციპლინური ქეისების დამატებით (მაგალითად, ანემია, მუცლის ტკივილი, წონის კლება და წყურვილი), ჩატარდეს ერთობლივი სემინარები კლინიკური და ძირითადი მეცნიერებების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, საფუძვლების კურსებში ჩაშენდეს კლინიკურად ორიენტირებული დავალებები სამედიცინო პრაქტიკაში თეორიული ცოდნის რელევანტურობის გასაძლიერებლად.
- რეკომენდებულია, რომ მეთოდოლოგიურ და შეფასების საკითხებთან დაკავშირებული თითოეული პოლიტიკა (მაგალითად: შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პაციენტის საწოლთან სწავლება, OSCE, სტანდარტიზებული პაციენტები, შებრუნებული საკლასო ოთახი) ხელმისაწვდომი იყოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ვერსიები, განსაკუთრებით სწავლების მეთოდებისა და სასწავლო პოლიტიკების აღმწერი ნაწილები, შინაარსობრივად სრულად უნდა იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში, რათა გარანტირებული იყოს თანმიმდევრული

და გამჭვირვალე კომუნიკაცია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დაინტერესებული მხარეებისათვის.

- რეკომენდებულია გუნდურად განხორციელებულ მოდულებში შეფასების როლებისა და პასუხისმგებლობების ნათლად გამოკვეთა, იმის მკაფიოდ დაფიქსირებით, თუ რომელ ლექტორები არიან პასუხისმგებელი სწავლის კონკრეტული შედეგების შეფასებაზე და ერთიანი რუბრიკებისა და შეფასების კრიტერიუმების გამოყენების უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია გაგრძელდეს პროგრამის დონეზე შეფასების მონაცემების სისტემატური შეგროვება და ანალიზი და, პროგრამის დანერგვის შემდეგ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ აღნიშნული მონაცემები გამოიყენებოდეს კურსების დონეზე გაუმჯობესებისათვისაც, მათ შორის სწავლების მეთოდების, შინაარსისა და შეფასების სტრატეგიების კორექტირების მიზნით.
- რეკომენდებულია, პროგრამაში, სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (მინისტრის 3 ბრძანებასთან).
- რეკომენდებულია გაიზარდოს სამეცნიერო/ კვლევითი პერსონალის რაოდენობა, ვინაიდან სამეცნიერო/ კვლევითი პერსონალის ნაკლებობა ზღუდავს როგორც სტუდენტთა კვლევითი აქტივობების ხელმძღვანელობას, ისე პროფესორ-მასწავლებლების ინიციატივით განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობას.
- რეკომენდებულია კლინიკური როტაციის უფრო ზუსტი და დეტალური მზადყოფნის გეგმის შემუშავება, რათა მიღწეული იყოს შესაბამისობა ეროვნულ სტანდარტებთან.
- რეკომენდებულია, ოსკის ოთახები მოეწყოს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, სტუდენტების კლინიკური როტაციის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კონკრეტული გეგმა (სტუდენტური სივრცეები, დატვირთვა, შესაძლებლობები, აკადემიური პერსონალი და მათი დატვირთვა).
- რეკომენდებულია, თითოეულ კლინიკაში, ხელმძღვანელობის სირთულეებისა და კლინიკური განათლების ხარისხის შესახებ გეგმის მომზადება.
- რეკომენდებულია, საავადმყოფოში სტუდენტთა განთავსების რეალისტურად დაგეგმვა და მათი განაწილება რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
- რეკომენდებულია, გამოიყოს უსდ-ის წარმომადგენელი, რომლიც საავადმყოფოში სტუდენტთა განთავსების საკითხებზე იზრუნებს.
- „ავერსის“ კლინიკა, რომელიც უსდ-ის კლინიკურ ბაზას წარმოადგენს, სტუდენტთა მიღების შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა ჩანაცვლდეს, სხვა კლინიკური ბაზით რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
- რეკომენდებულია, გაიმიჯნოს ან შემუშავდეს მედიცინის სკოლის კვლევითი საქმიანობის ინდივიდუალური ფინანსური მხარდაჭერის გეგმა;
- რეკომენდებულია მედიცინის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად შემუშავდეს ინდივიდუალური სარეზერვო გეგმა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტი ფლობდეს მედიცინის სკოლის ბიუჯეტის ჩამოყალიბების მკაფიო გეგმას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 04 ნოემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული ხელმოწერილია
შემოწმებულია